

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი – ვლადიმერ გაბელია
თანამდებობის დასახელება - კომისიის თავმჯდომარე
ფრაქციის დასახელება - „ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“
კომისი(ებ)ის დასახელება - სამანდატო, იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისია, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) – N68.05 მედანის ადგილობრივი
მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი
საანგარიშო პერიოდი -2015 წლის 01 ნოემბრიდან 2016 წლის 01 ნოემბრამდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) – რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1. სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა _ 25
საკრებულოს სხდომებზე დასწრება __ 23

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა _ 28
კომისიის სხდომებზე დასწრება - 28

3. სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა __ 12
ფრაქციის სხდომებზე დასწრება __ 12

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

ა) 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016–2018 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის
თაობაზე;

გ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის
მუნიციპალური პროგრამების შესახებ;

დ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის
მუნიციპალიტეტში 2016-2017 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების
თაობაზე;

ე) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. წალენჯიხის და ქ. ჯვარის ადმინისტრაციულ
საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე, (ქუჩებში, სკვერებში და საზოგადოებრივი თავშეყრის
სხვა ადგილებში), წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან
მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აკრძალვის წესის დამტკიცებისა თაობაზე;

ვ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის მხარდამჭერ ამომრჩეველთა
სიის ბლანკის, პეტიციის თაობაზე წარსადგენი განცხადების ფორმისა და მისი
რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ;

ზ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის
ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა -

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა __ 17 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა
რაოდენობა ____ 170

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

ჯგალისა და მედანის ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის ადგილობრივი მნიშვნელობის გზის რეაბილიტაცია, შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, საბავშვო ბაღის რემონტი, წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, სოციალური პრობლემები.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

ლეფიფიესა და სამიქაოს უბანში წისქვილის რეაბილიტაცია, სოფლის ცენტრალურ გზაზე გარე განათების მოწყობა, ძვანაძეების აღმართზე ბეტონის გზის მოწყობა, ცენტრალური და შიდა საუბნო გზების მოხრეშვა, ლეფიფიეს უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა
ვარ საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თემჯდომარე. საანგარიშო პერიოდში ჩემი თავმჯდომარეობით ჩატარდა 16 კომისიის სხდომა, კომისიის სხდომაზე განხილულ ყველა საკითხთან დაკავშირებით მომზადდა სათანადო დასკვნები, რომლებიც შემდგომ განსახილველად გადაეცა საკრებულოს ბიუროს. როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება- რესპუბლიკელები“-ს წევრი მონაწილეობა მივიღე ფრაქციის მიერ ჩატარებულ ყველა სხდომაში, ყველა პრობლემა რომელიც წამოჭრილიქნა ამომრჩევლებთან შეხვედრისას განხილულიქნა ფრაქციის სხდომაზე და მიეცა სათანადო რეაგირება.

აქტიურად ვმონაწილეობ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მუშაობაში. დავესწარი კომისიის მიერ ორგანიზებული 14 სხდომიდან 14-ივე სხდომას.

შევსების თარიღი- 31.10.2016წ.

წარდგენის თარიღი _31.10.2016 წ.

ხელის მოწერა

